



## მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერჯორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. მანანა დევიძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
3. გიორგი აბულაშვილი - ენერჯოეფექტურობის ცენტრი საქართველო
4. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. ნინო ჩხობამე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
6. თამარ ანთიძე - ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
7. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
9. ნინო სულხანიშვილი - კავშირი მდგრადი განვითარებისთვის „ეკოვიჯენ“
10. დავით შველიძე - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
11. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი „ეკოტექი“
12. მარიამ შოთაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

## განსახილველი საკითხები:

1. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში რეგიონებთან თანამშრომლობის საკითხის განხილვა;
2. გარემოსდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ბ-ნ გია ჟორჯოლიანთან შეხვედრის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
3. გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებზე სამუშაო ჯგუფის წევრების შესაძლო მონაწილეობა;
4. ჯგუფის წევრების მხრიდან მათთვის საინტერესო საკითხების წამოწევა და განხილვა;
5. სხვა მიმდინარე საკითხები.

შეხვედრა გახსნა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ისაუბრა რეგიონალურ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის და ერთობლივი საქმიანობის წარმართვის აუცილებლობაზე. კოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის მიმდინარეობისას განიხილეს აღნიშნული თემა და საბჭოს წევრების მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე გადადგამს კონკრეტულ ქმედით ნაბიჯებს ამ მიმართულებით და აქტიურად ჩაერთვება პროცესში.

რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით კოორდინატორმა ჯგუფის წევრებს შესთავაზა რეგიონალური შეხვედრების ორგანიზება გარემოს დაცვის, ენერგოუსაფრთხოების, საკვების უსაფრთხოების და სხვა მნიშვნელოვან თემებზე. კოორდინატორმა ასევე ისაუბრა რეგიონებთან საერთო პროექტის არსებობის საჭიროებაზე, რაც ხელს შეუწყობს რეგიონალური ორგანიზაციების გაძლიერებას და პროცესში ჩართვას. ჯგუფის წევრებმა წამოაყენეს ინიციატივა, რომ რეგიონალურ დონეზე არსებულ წარმომადგენლობებს ჰყავდეთ ქვეკოორდინატორები, რომლებიც ჩაერთვებიან პლატფორმის საქმიანობაში და დახმარებას გაუწევენ რეგიონალური შეხვედრების ორგანიზებას.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა განიხილა რეგიონებთან შესაძლო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა მერების შეთანხმების მონიტორინგი, საკვების უსაფრთხოება, მომხმარებელთა უფლებები, ნარჩენების კანონი და სხვა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეგიონების როლი არის ძალზე მნიშვნელოვანი პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველო -ს წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ , 15 იანვრიდან ამოქმედდა პარლამენტის მიერ დამტკიცებული "ნარჩენების მართვის კოდექსი". ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს ადგილობრივ თვითმმართველობებს 2017 წლამდე შეიმუშაონ ნარჩენების მართვის გეგმა. მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები.

ახალი კანონის მიზანია, ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისთვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მათ უსაფრთხო განთავსებას. კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ითვალისწინებს ნარჩენების მართვის

თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას საქართველოში. კანონი მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების თვალსაზრისითაც, რადგან მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს გარემოს დაცვა წამოადგენს. კანონით მეწარმეებს უზნდებათ თავიანთი ნარჩენების მეორადი გადამუშავების ვალდებულება. ახალი კოდექსის ფარგლებში იგეგმება ევროპული სტანდარტების მქონე ნაგავსაყრელების მოწყობაც.

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა დამსწრეებს ინფორმაცია გააცნო ევროკავშირის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ. 2015 წლისათვის მესამე სამუშაო ჯგუფისთვის არსებობს შემდეგი სამი პრიორიტეტული მიმართულება: ენერგოუსაფრთხოება, გარემოს დაცვა, კლიმატური ცლილებები. მან ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა შეხვედრა გამართეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილესთან. შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გართიანებაში გაწევრიანების საკითხი. 28 აპრილს, სამშაბათს გაიმართება ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანების მოლაპარაკებების მესამე რაუნდი. აღნიშნული შეხვედრის მიმდინარეობისას განიხილება საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, კონკრეტული გეგმები, რომელიც არსებობს გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ასევე ისაუბრებენ ვადების საკითხზე.

დამსწრეებმა ასევე განიხილეს სხვა მიმდინარე საკითხები, ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ კი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია